პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის ანალიზი

2023 წლის პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა ჩავატარე 2023 წლის 15 აპრილიდან 2023 წლის 15 ივნისის შუალედში. 2023 წლის მაისის მდგომარეობით კოლეჯს ყავს **358** აქტიური პროფესიული სტუდენტი. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო პროფესიულ სტუდენტთა **56%**-მა, ჯამში **201** პროფესიულმა სტუდენტმა.

დემოგრაფიული მონაცემების მიხედვით გამოკითხულთა **31% (**63 პროფესიული სტუდენტი) არის ქალი, ხოლო **69%** კაცი (138 პროფესიული სტუდენტი). კვლევაში მონაწილეთა ასაკობრივი კატეგორია არის **15 წლიდან - 65 წლამდე**. გამოკითხულთა შორის 1 რესპოდენტს გააჩნია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება.

გამოკითხულთა 34%, 68 პროფესიული სტუდენტი, არის დასაქმებული.



გამოკითხულთა **43%** (87 პროფ. სტუდენტი) **კარგად** იცნობს კოლეჯის ხედვას, მისიას და ღირებულებებს, **28%** (56 პროფ. სტუდენტი) საშუალოდ, **14%** ცუდად (28 პროფ. სტუდენტი), **15%** (30 პროფ. სტუდენტი) უჭირს პასუხის გაცემა. დაწესებულების საქმიანობა მის მიერ გამოცხადებულ მისიას სავსებით პასუხობს გამოკითხულთა **51%-ის** (103 პროფ. სტუდენტი) აზრით; **20%** (40 პროფ. სტუდენტი) კი თვლის რომ მეტნაკლებად პასუხობს. გამოკითხულთა უმეტესმა ნაწილმა აღნიშნა, რომ ინფორმაცია კოლეჯის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შესახებ ინფორმაცია მიიღეს, როგორც მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებიდან, ისე დაწესებულების ვებ გვერდიდან და შენობაში გამოკრული საინფორმაციო ბანერებიდან და ბეჭდური მასალიდან, გამოკითხულთა 11% (22 პროფ. სტუდენტი) აცხადებს, რომ ინფორმაცია ჩვენს მიერ შეთავაზებული არცერთი წყაროდან არ მიუღიათ. დამატებითი რეკომენდაციები კოლეჯის მისიის ხედვის ან/და ღირებულებების შესახებ პროფესიულ სტუდენტებს არ გააჩნიათ.

გამოკითხულთა მცირე ნაწილი 13% (27 პროფ. სტუდენტი) იცნობს კარგად სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების პროცესს, 30% (61 პროფ. სტუდენტი) საშუალოდ იცნობს, 24% (49 პროფ. სტუდენტი) საერთოდ არ იცნობს, ხოლო 32%ს (64 პროფ. სტუდენტი) უჭირს კითხვაზე პასუხის გაცემა. 39 პროფესიულმა სტუდენტმა მოგვაწოდა რეკომენდაციის სახით სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების პროცესის სტუდენტებისთვის მეტად გაზიარებისთვის.

სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგებს გაეცნო გამოკითხულთა 68% (136 პროფ. სტუდენტი), შესრულების ანგარიში რომ საჯარო იყო, თუმცა ვერ გაეცნო გამოკითხულთა 14% (29 პროფ. სტუდენტი), ხოლო აღნიშნული საკითხით არ დაინტერესდა გამოკითხულთა 18% (36 პროფ. სტუდენტი).



სწავლის დაწყებისთანავე პროგრამის მიზანს, შინაარს, მოდულებს, შესაბამის კალენდარულ გეგმებს და სასწავლო რესურსს, შეფასების სისტემას გაეცნო გამოკითხულთა **28%** (57 პროფ. სტუდენტი); არ გაეცნო **19%** (38 პროფ. სტუდენტი); ნაწილობრივ გაეცნო გამოკითხულთა **53%** (106 პროფ. სტუდენტი). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა აკმაყოფილებს გამოკითხულთა 58% (117 პროფ. სტუდენტი), არ აკმაყოფილებს 7%ს (14 პროფ. სტუდენტი), ნაწილობრივ აკმაყოფილებს 35% (70 პროფ. სტუდენტი). პროგრამის ხანგრძლივობა მისაღებია გამოკითხულთა 22% ისთვის (45 პროფ. სტუდენტი), არ არის მისაღები 17%ისთვის, ნაწილობრივ მისაღებია 61% ისთვის (122 პროფ. სტუდენტი). პროგრამაში შემავალი ყველა სავალდებულო მოდული რელევანტურია პროფესიისთვის ფიქრობს 62% (124 პროფ. სტუდენტი), არ არის რელევანტური მხოლოდ 6% (12 პროფ. სტუდენტი) და ნაწილობრივ რელევანტურია 32% ისთვის (65 პროფ. სტუდენტი). მოდულები თანმიმდევრულად და სწორად არის დალაგებული გამოკითხულთა 38% ისთვის (77 პროფ. სტუდენტი), 20% (40 პროფ. სტუდენტი) თვლის რომ არ არის სეორად დალაგებული, ხოლო 42% (84 პროფ. სტუდენტი) ნაწილობრივ დალაგებულია. გამოკითხულთა 90% (181 პროფესიული სტუდენტი) თვლის რომ პროგრამის სახელწოდება შეესაბამება მის შინაარს, 1% (2 პროფ. სტუდენტი) თვლის, რომ არ შეესაბამება, ხოლო 9%ის (18 პროფ. სტუდენტი) აზრით ნაწილობრივ შეესაბამება.



გამოკითხულთა 64% ისთვის (128 პროფ. სტუდენტი) არსებული ცხრილი მისაღებია, 8% ისთვის (16 პროფ. სტუდენტი) არ არის მისაღები, ხოლო ისთვის 28% (57 პროფ. სტუდენტი) ნაწილობრივ მისაღებია. კოლეჯის მიერ შეთავაზებული სასწავლო ცვლები მისაღებია გამოკითხულთა 35 % ისთვის (71 პროფ. სტუდენტი), არ არის მისაღები 28% ისთვის (56 პროფ. სტუდენტი), ნაწილობრივ მისაღებია 37%ისთვის (74 პროფ. სტუდენტი). ჯგუფებში სტუდენტების რაოდენობას ოპტიმალურად აფასებს გამოკითხულთა უმეტესი ნაწილი 90% (180 პროფ. სტუდენტი), 2% (4 პროფ. სტუდენტი) თვლის, რომ არ არის ოპტიმალური რაოდენობა, ნაწილობრივ არის 8% ისთვის (17 პროფ. სტუდენტი).



გამოკითხულთა 75% (151) კარგად იცნობს სტუდენტურ მექანიზმებს, 15% (30 პროფ. სტუდენტი) ნაწილობრივ, 5% (11 პროფ. სტუდენტი) არ იცნობს, ხოლო 4% (9 პროფ. სტუდენტს) უჭირს კითხვაზე პასუხის გაცემა. რაც შეეხება კარიერული მხარდაჭერის მექანიზმებს, კარგად იცნობს გამოკითხულთა 54% (108 პროფ. სტუდენტი), ნაწილობრივ იცნობს 10 % (21 პროფ სტუდენტი), არ იცნობს 17% (34 პროფ. სტუდენტი), კითხვაზე პასუხის გაცემა უჭირს 19% (38 პროფ. სტუდენტი).





მივიღეთ რეკომენდაციები სტუდენტური სერვისების გაუმჯობებესაბასა და სტუდენტებისთვის რეკრეაციული სივრცეების მოწყობაზე. სტუდენტთა დიდი ნაწილი გამოთქვამს სურვილს კოლეჯში გაკეთდეს სპორტული მოედანი, კვების ობიექტი. ასევე სურვილი აქვთ მონაწილეობა მიიღონ მეტ არაფორმალურ/სპორტულ აქტივობებში.

გამოკითხულთა 14% (28 პროფესიული სტუდენტი) ამბობს, რომ კოლეჯში ძალიან ხშირად იგეგმება არაფორმალური/გასართობი/შემეცნებითი/სპორტული/ექსტრაკურიკულური აქტივობები, 45% (91 პროფესიული სტუდენტი) კი თვლის, რომ ხშირად იგეგმება, 22% ის(44 პროფ. სტუდენტი) თქმით ზოგჯერ, ხოლო 17% (34 პროფ. სტუდენტი) თვლის რომ იშვიათად



იგეგმება, 2%ის (4 პროფ. სტუდენტი) აზრით კოლეჯში არასოდროს არ იგეგმება არაფორმალური/გასართობი/შემეცნებითი/სპორტული/ექსტრაკურიკულური აქტივობები.

ჩამოთვლილთაგან რა ფორმით არის შესაძლებელი მიაწოდოთ ადმინისტრაციას თქვენი შეხედულებები დაწესებულების განვითარების, სასწავლო პროცესის დახვეწის, პრობლემების მოგვარების, სტუდენტური ცხოვრების გამრავალფეროვნების და სხვათა შესახებ?





რამდენად ინფორმირებული ხართ პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და ამ შეფასების შედეგების გასაჩივრების (აპელაციის) მექანიზმების შესახებ?





დაწესებულების ინფრასტრუქტურასთან და მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებთან დაკავშირებით პროფესიულმა სტუდენტების მოსაზრებები შემდეგნაირად გადანაწილდა:

	სრულიად ეთანხმება	ეთანხმება	ეჭირს პასუხი	არ ეთანხმება
შენობა კარგ მდგომარეობაშია	47%	43%	10%	0
თეორიული სწავლების აუდიტორია კარგ მდგომარეობაშია	38%	50%	11%	1%
პრაქტიკული სწავლების ლაბორატორიები/სახელოსნოები კარგ მდგომარეობაშია	57%	43%	0	0
სასწ. პროცესში ხელმისაწვდომია თეორიული სწავლებისთვის საჭირო მატერიალურ -ტექნიკური რესურსი	48%	47%	4%	1%
სასწ. პროცესში ხელმისაწვდომია პრაქტიკული სწავლებისთვის საჭირო მატერიალურ -ტექნიკური რესურსი	51%	39%	5%	5%
სწავლებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსი/მასალა/ნედლე გამოსაყენებლად ვარგისია	85%	13%	2%	0
შენობა აღჭურვილია სათანადო ინვენტარით (მაგიდა, სკამი, კარადა)	71%	19%	10%	0
თეორიული სწავლების აუდიტორიების ფართი სტუდენტების რაოდენობის შესაბამისია	65 %	29%	5%	1%
პრაქტიკული სწავლების ლაბორატორიების ფართი სტუდენტების რაოდენობის შესაბამი	48%	37%	11%	5%
ხელმისაწვდომია ბეჭდური/ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსები	55%	32%	12%	1%
ბიბლიოთეკის სამკითხველო სივრცე შეესაბამება პროფესიული სტუდენტების მოთხოვნ	45%	32%	15%	7%
დასასვენებელი სივრცეები შეესაბამება პროფესიული სტუდენტების მოთხოვნებს	64%	30%	18%	20%
სპორტული აქტივობების სივრცეები შეესაბამება პროფესიული სტუდენტების მოთხოვნ	4%	31%	52%	57%
ადმინისტრაციული პერსონალი კეთილგანწყობილი და სამართლიანია	80%	19%	1%	0



- კოლეჯის პროფესიული სტუდენტების მიერ შევსებული კითხვარებიდან გამომდინარე ისინი დადებითად აფასებენ კოლეჯში არსებული სასწავლო რესურსებისა და პრაქტიკული გარემოს კუთხით არსებულ მდგომარეობას;
- გამოკითხულთა 95% აღნიშნავს, რომ კოლეჯის, პრაქტიკული სწავლების სახელოსნოები, იმყოფება კარგ მდგომარეობაში, რომ შენობის, თეორიული და პრაქტიკული სწავლების ლაბორატორიები პროფესიული სტუდენტების რაოდენობის შესაბამისია და აღჭურვილია პროგრამით გათვალისწინებული ყველა საჭირო ინვენტარით, რომელიც გამოსაყენებლად სრულიად ვარგისია;
- თეორიული სწავლების აუდიტორიებში და კომპიუტერულ ლაბორატორიებში არის პროფესიული სტუდენტების რაოდენობის მიხედვით სასწავლო მაგიდები, სკამები და სათანადო სიმძლავრის ინტერნეტით უზრუნველყოფილი კომპიუტერები, რომელსაც ზედამხედველობს კოლეჯის IT მენეჯერი, ასევე გათვალისწინებულია პროექტორი და თეთრი დაფა;
- კოლეჯში წარმოდგენილი ინვენტარი თუ აღჭურვილობა იმყოფება გამართულ მდგომარეობაში, და არის სრულიად ხელმისაწვდომი სასწავლო პროცესის განხორციელების პროცესში, როგორც პროფესიული განათლების მასწავლებლებისათვის ასევე პროფესიული სტუდენტებისთვის;
- პროფესიული სტუდენტების გამოკითხვიდან ასევე გამოჩნდა, რომ ისინი კმაყოფილნი არიან კოლეჯის მიერ შეთავაზებული სასწავლო გარემოთი, პრაქტიკული სწავლების სახელოსნოებით, გათბობის, ვენტილაციის თუ სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობით, ასევე ბიბლიოთეკის სამკითხველო, დასასვენებელი, სარეკრეაციო სივრცეებითა და ბეჭდური/ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსით, რასთან დაკავშრებითაც გამოკითხულთა 95% აღნიშნავს, რომ სრულად, ხოლო 5% კი აღნიშნავს, რომ ნაწილობრივ ხელმისაწვდომია;
- კვლევაში მონაწილე პროფესიული სტუდენტების 69% კოლეჯის გათბობის სისტემას აფასებს, როგორც ძალიან კარგი, ხოლო 28% კი როგორც კარგი; 3%ს უჭირს კითხვაზე პასუხის გაცემა (6 პროესიული სტუდენტი).



- გაგრილების სისტემის შემთხვევაში კი გამოკითხულთა 58 % (117 პროფ. სტუდენტი) ფიქრობს რომ ძალიან კარგია, 41% ის (82 პროფ. სტუდენტი) კარგია, 1%ის აზრით (2 პროფ. სტუდენტი) შენობის გაგრილების სისტემა ცუდად ფუნქციონირებს.
- გამოკითხული პროფესიული სტუდენტები ეთანხმებიან იმ გარემოებას, რომ კოლეჯში დაცულია შრომის უსაფრთხოების აუცილებელი ნორმები, რომ წინასწარ მიიღეს უსაფრთხოების მიმართულებით ყველა საჭირო ინფორმაცია/ინსტრუქტაჟი, შენობაში გამოსაჩენ ადგილას არის განთავსებული უსაფრთხოებისთვის საჭირო ყველა ინვენტარი და გამოკრულია ევაკუაციის გეგმა;
- გამოკითხულთა 54%მა (109 პროფესიული სტუდენტი) ისარგებლა პირველადი გადაუდებელი დახმარებით და ყველა მათგანი კმაყოფილია .

საერთო სარგებლობის სივრცეების სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის შეფასებისას გამოვლინდა, რომ გამოკითხულთა 63% თვლის (127 პროფ. სტუდენტი), რომ ძალიან კარგ მდგომარეობაშია, 32% ის აზრით (64 პროფ. სტუდენტი) კარგ მდგომარეობაშია, 3,5% (7პროფ. სტუდენტი) თვლის რომ ცუდი მდგომარეობაა, ხოლო 1,5%ს უჭირს კითხვაზე პასუხის გაცემა.



კოლეჯის ვებ-გვერდისა და ფეისბუქ გვერდის ინფორმატიულობასთან დაკავშირებით სტუდენტებმა გამოთქვეს შემდეგი მოსაზრებები: გამოკითხულთა 54% (108 პროფ.სტუდენტი) თვლის რომ კოლეჯის ვებ-გვერდი ინფორმატიულია, 19% (39 სტუდენტი) თვლის რომ არ არის, 26%-ს (52 პროფ. სტუდენტი) უჭირს პასუხის გაცემა კითხვაზე, 1% (2 პროფ. სტუდენტი) თვლის რომ კოლეჯს გვერდი საერთოდ არ აქვს. რაც შეეხება ფეისბუქ გვერდთან დაკავშირებით : გამოკითხულთა 74% (148 პროფ.სტუდენტი) თვლის რომ კოლეჯის ფეისბუქ გვერდი ინფორმატიულია, 6% (12 სტუდენტი) თვლის რომ არ არის, 20%-ს (41 პროფ. სტუდენტი) უჭირს

პასუხის გაცემა კითხვაზე, არცერთი სტუდენტი არ ფიქრობს, რომ კოლეჯს გვერდი საერთოდ არ აქვს.





დასკვნა:

კვლევის შედეგად, სტუდენტების მიერ დადებითად შეფასდა პროფესიული სტუდენტების ინფორმირებულობა სხვადასხვა საკითხებში, ასევე დადებითად შეფასდა კოლეჯის ინფრასტრუქტურა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა, შენობის გათბობა-გაგრილების სისტემის ფუნქციონირება და სხვა.

პროფესიული სტუდენტების გამოკითხვის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე ასევე გამოვლინდა შემდეგი სახის გარემოებები:

- **კოლეჯის ტერიტორიაზე სპორტული სივრცის/მოედნის მოწყობა და მეტი სპორტული აქტივობების დაგეგმვა;**
- **კოლეჯის ტერიტორიაზე პროფესიული სტუდენტებისათვის კვების ობიექტის მოწყობა;**

ყველა ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, კოლეჯის დირექტორთან და საფინანსო სამსახურთან ერთად განხორციელდება თემის განხილვა, გაანალიზება და მომავალი აქტივობების დაგეგმვა.